პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 56 (1226) | კვირა, 11 მაისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 80 კაპ.



## გამარჯვების დღე

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს გამარჯვების დღე — 9 მაისი.

13 წლის წინათ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მძლავრი საარტილერიო სალუტით მთელ მსოფლიოს აუწყა კეთილი ნების ადამიანთა გამარჯვება ბნელ ძალებზე — გერმანიის ფაშიზმზე. საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს უდიდესი ისტორიული გამარჯვება ამ ძნელ და მსოფლიოს ისტორიაში არნახულ სისხლისმღვრელ ომში, წარმატებით დაიცვეს დიდი ოქტომბრის მონაპოვარი, საბჭოთა სამშობლოს პატიოსნება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამას გარდა, საბჭოთა ჯარებმა ფაშიზმის უღლისაგან იხსნეს ევროპის ბევრი ქვეყანა.

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლაში კიდევ უფრო გამოიწრთო საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინური მეგობრობა, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც სამშობლოს თავისუფლების წმიდათაწმიდა რწმენა აღაფრთოვანებდათ, შრომითი გმირობის სასწაულებს ახდენდნენ ზურგში, არნახულ გმირობას იჩენდნენ ომის ფრონტებზე.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე დიადი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი აღსდგა მშობლიური სამშობლოს დასაცავად. დიდმა სამამულო ომმა განსაკუთრებით ცხადყო, რომ ხალხი ისტორიის ნამდვილი შემოქმედია, მთავარი და გადამწყვეტი ძალაა საზოგადოების მთელს ცხოვრებაში. ომის შედეგმა მთელი სიცხადით დაადასტურა სოციალიზმის განუზომელი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით. ჩვენი სახელმწიფო ომიდან კიდევ უფრო მტკიცე და მძლავრი გამოვიდა.

დიდი სამამულო ომის მრისხანე და შეუპოვარ ბრძოლებში წითელმა არმიამ ცხადყო, რომ იგი ჩვენი დროის პირველხარისხოვანი არმიაა, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე სამხედრო ტექნიკით, ჰყავს უაღრესად მაღალკვალიფიციური მეთაურთა შემადგენლობა და აქვს უმაღლესი მორალურ-საბრძოლო თვისებები.

ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენი ხალხის ისტორიული გამარჯვების შედეგად კაპიტალისტურმა სისტემამ უდიდესი კრახი განიცადა. ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მშრომელებმა მოსპეს ანტიხალხური, ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმი, და დაამყარეს სახალხო დემოკრატიის წყობილება, ჩვენი ქვეყნის აქტიური დახმარებით დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ომისშემდგომ წლებში ჩვენმა სახელმწიფომ მოიპოვა უდიდესი წარმატებები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში. ასრულებენ რა კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა მშრომელები ჯერ არნახულ შრომითს გმირობასავლენენ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში სხვადასხვა დაწესებულებებში, რათა კიდევ უფრო მძლავრი გახდეს სოციალისტური სამშობლო, კიდევ უფრო ბედნიერად იცხოვროს საბჭოთა ხალხმა.

ჩვენი ადამიანები დიდად არიან დაინტერესებული მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობით. ამიტომ არის, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანების მზერა მიმართულია დიდ საბჭოთა სახელმწიფოსაკენ, რომელიც მთელს მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის მებაირახტრეა, იგი სისტემატურად გამოდის დაძაბულობის შენელების, ახალი ხოცვა-ჟლეტის საწინააღმდეგო კონკრეტული წინადადებებით.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობამ, ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნეს გამარჯვების დიადი დღესასწაული და პირობა დადეს, რომ ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის საქმეში, იბრძოლებენ მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.




## ველორბოლა

ცუდი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად ველოსიპედისტებმა შეინარჩუნეს მაღალი სისწრაფე. ორი ეტაპის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენი ვ. კაპიტონოვი გამოეთხოვა ლიდერის მაისურს. ლოძი-კატოვიცეს 215-კილომეტრიან მონაკვეთზე (მესამე ეტაპი) კაპიტონოვმა რამდენიმეჯერ სცადა წინ გასვლა, მაგრამ მხარდაჭერა ვერა ჰპოვა, მარტოდ ლიდერობას კი აზრი არა ჰქონდა. ფინიშთან ახლოს ველოსიპედისტებმა სისწრაფეს მოუმატეს. ძირითად ჯგუფს პირველად ე. კლევცოვი გაექცა. მას თვალში ჩაუჯდნენ ჰოლანდიელი პ. დამენი, გერმანელი რ. ჰენინგი, ბელგიელი ა. ჰერმანსი და იტალიელი რ. ვენტურელი. პირველი ადგილი ამ ეტაპზე მოიპოვა 23 წლის ჰოლანდიელმა ველოსიპედისტმა პიტ დამენმა — 5:24.56,0. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ჰენინგი — 5:25.26,0 და ე. კლევცოვი — 5:25.56,0. გუნდურ ჩათვლაში ეტაპი მოიგო ბელგიამ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსპედისტები მეორე ადგილზე იყვნენ, ხოლო საბჭოთა სპორტსმენები — მესამეზე.

სამი ეტაპის ჯამში (გუნდური ჩათვლა) წინ იყვნენ საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტები, რომლებიც მეორე ადგილზე მყოფ ჰოლანდიელებს უგებდნენ დაახლოებით 14 წუთს. პირად ჩათვლაში რბოლის ლიდერი გახდა პ. დემანი. მომდევნო ადგილებზე იყვნენ ჰერმანსი (ბელგია) და ნ. კოლუმბეტი (სსრკ).

ბოლოსდაბოლოს გამოიდარა და ველოსიპედისტებს პირველად მიეცათ „თავისუფლად ამოსუნთქვის“ საშუალება. კატოვიცედან ვროცლავამდე ტრასა 190 კილომეტრს არ აღემატება. მისი პროფილი არაა მაინცდამაინც რთული, ამიტომ სპორტსმენებმა თავიდანვე მაღალი სისწრაფე განავითარეს. ჯგუფიდან გაქცევა მორიგეობით სცადეს რ. ვენტურელიმ, კ. ზოპასმა (იტალია), გ. მოიჩანუმ (რუმინეთი), ბ. ბიბენინმა, პ. ვოსტრიაკოვმა და ი. კოლედოვმა (სსრკ), მაგრამ უშედეგოდ.

მაღალმა სისწრაფემ მაინც თავისი ჰქნა. ნაწილმა ვერ გაუძლო ტემპს და ჯგუფს ჩამორჩა, ნაწილი ჯერ კიდევ რიტმში მიყვებოდა ლიდერებს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ დიდხანს ვერ გაუძლებდა ტემპს. სწორედ ამ მომენტში წინ გაიჭრა 16-კაციანი ჯგუფი. ფინიშთან, რომელიც ვროცლავის ოლიმპიურ სტადიონზე მოეწყო, პირველი იყო პოპულარული გერმანელი ველოსიპედისტი გუსტავ ადოლფ შური (4:55.52,0). რამდენიმე წამის შემდეგ დისტანცია დაამთავრეს პოლონელმა ს. კრულიაკმა და რუმინელმა გ. მოიჩანუმ. მეოთხე ეტაპის გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა — 1. გდრ, 2. ინგლისი, 3. სსრკ. ლიდერის მაისური ამ ეტაპის შემდეგაც პ. დამენმა შეინარჩუნა.

ვროცლავიდან ველოსიპედისტებმა კურსი აიღეს ბერლინისაკენ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ამ ეტაპზე თავი გამოიჩინა საბჭოთა გუნდის წარმომადგენელმა ვ. კაპიტონოვმა, რომელიც პირველი იყო ფინიშთან. ლიდერთა ჯგუფში გავიდა ახალგაზრდა გერმანელი სპორტსმენი ე. ადლერი, რომელიც მეხუთე ეტაპზე ფინიშთან მეორე იყო. მესამე ადგილი წილად ხვდა ნ. კოლუმბეტს (სსრკ). საბჭოთა გუნდი რბოლის ამ ეტაპზეც პირველი იყო.

მეექვსე ეტაპის ფინიში დანიშნული იყო ბერლინში, ვალტერ ულბრიხტის სახელობის სტადიონზე. აქ გამარჯვება მოიპოვა ე. ადლერმა, მეორე ადგილი დაიკავა ინგლისელმა ა. ბრიტენმა, ხოლო მესამე — ი. პანჩეკმა (პოლონეთი).

მეშვიდე ეტაპზე ბერლინი-ლაიპციგი პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: რ. მასტროტო (საფრანგეთი), ე. კლევცოვი (სსრკ), ე. ადლერი (გდრ).

შვიდი ეტაპის შემდეგ რბოლის ლიდერი გახდა ა. ჰერმანსი (ბელგია).

## საბჭოთა ძალოსნების გამგზავრება

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრა საბჭოთა ძალოსანთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან: მსოფლიოს ჩემპიონები ვ. სტოგოვი, ე. მინაევი, ვ. ბუშუევი, ოლიმპიური ჩემპიონი ფ. ბოგდანოვსკი, მსოფლიოს ჩემპიონები ტ. ლომაკინი, ა. ვორობიოვი და ა. მედვედევი.

საბჭოთა სპორტსმენები შეერთებულ შტატებში ჩაატარებენ სამ შეხვედრას: 12 მაისს ჩიკაგოში, 15 მაისს — დეტროიტში და 17 მაისს — ნიუ-იორკში.

## „მომავალ შეხვედრამდე“

7 მაისს საბჭოთა კავშირიდან სამშობლოში გაფრინდა შეერთებული შტატების კალათბურთელთა დელეგაცია.

სამშობლოში გამგზავრების წინ ამერიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, შეერთებული შტატების მოყვარულთა ატლეტური კავშირის პრეზიდენტმა კ. ჯონსონმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირში ჩვენ გარემოცული ვცყავით მეგობრობის სითბოთი და სტუმართმოყვარეობის გრძნობით. გვეძნელება მეგობრებთან განშორება, მაგრამ ვიქნებით ახალი შეხვედრების მოლოდინში. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების კალათბურთელთა შეხვედრებმა ხელი შეუწყო ამ ხალხების მეგობრობას. მომავალ შეხვედრებამდე მეგობრებო!“

# 12,5:10,5 ასეთია ანგარიში

## მ. ბოტვინიკმა დაიბრუნა ჩემპიონობა

9 მაისს დილით ვ. სმისლოვმა დაურეკა მ. ბოტვინიკს, რომ იგი მას ყაიმს თავაზობს წინადღით თანაბარ პოზიციაში გადადებულ XXIII პარტიაში. როცა ბოტვინიკმა მიიღო ეს წინადადება, ვ. სმისლოვმა მას მიულოცა გამარჯვება მატჩ-რევანშში.

ეს ამბავი სწრაფად გაიგეს ჭადრაკის მოყვარულებმა, რომლებიც გულწრფელად ულოცავდნენ მიხეილ ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებას. ულევად ნაკადად მიდის მისალოცი დეპეშები მისამართით: მოსკოვი, მშვიდობის პროსპექტი № 52, ბინა 15, მსოფლიო ჩემპიონ ბოტვინიკს.

12,5:10,5 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ბოტვინიკისა და სმისლოვის მატჩ-რევანში. მისი ტექნიკური შედეგები ასეთია: ბოტვინიკმა მოიგო 7 პარტია, წააგო 4 და 11 ყაიმით დაამთავრა. თეთრებით მის სასარგებლოდ დამთავრდა 5 პარტია, შავებით — 2. სამაგიეროდ, მან შავებით ოთხი პარტია წააგო.

ბრძოლა მატჩში უკიდურესობამდე დაძაბული იყო. დიდ მოჭადრაკეთა ორთაბრძოლაში სათანადო თეორიულ მომზადებასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მორალურ მხარეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ბოტვინიკმა მატჩი მოიგო პირველ სამ პარტიაში, სადაც გამარჯვებებით სმისლოვს დაუძლეველი მორალური ტრავმა მიაყენა.

ბოტვინიკი ყოველმხრივად საუცხოოდ მომზადებული აღმოჩნდა მატჩისათვის. მან სმისლოვი სტარტზევე დააყენა გადაუჭრელი სადებიუტო პრობლემების წინაშე. თუ ადრე ბოტვინიკი პრინციპულად იცავდა ფრანგული დაცვის ღირსებას, მატჩში მას იგი ერთხელაც არ გამოუყენებია. ბოტვინიკმა დასაწყისში ორჯერ ითამაშა კარო-კანის დაცვა, რომელსაც თვითვე ებრძოდა წლების მანძილზე. ეს მოულოდნელი ნაბიჯი გამართლდა. სმისლოვი მოუმზადებელი აღმოჩნდა და წააგო პარტიები. შემდეგში ბოტვინიკმა თუმცა კიდევ ორჯერ მიმართა ამ დაცვას, მაგრამ სმისლოვი მას უკვე მომზადებული დაუხვდა და ორივე პარტია მოიგო. მატჩში ბოტვინიკს არ გამოუყენებია არც თავისი საყვარელი ნიმცოვიჩის დაცვა. სმისლოვი ძველინდურ დაცვაში მარცხის შემდეგ ჯიუტად იყენებდა გრიუნფელდის დაცვის სქემას.

შუა თამაშშიც ბოტვინიკი უფრო მაღლა იდგა. აქ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ ბრძოლაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა ნერვების გამძლეობა. ამაზე მეტყველებს XV პარტიის მაგალითი, რამაც ბოტვინიკს თითქმის მოგებულ პოზიციაში დაავიწყა საათის არსებობა და გადააცილა დროს. პარტიებში, რასაკვირველია, გვხვდება საუცხოო ადგილები, საინტერესო მანევრები, კომბინაციური დარტყმები. მაგრამ უფრო დაწყნარებულ ბრძოლაში გროსმაისტერებს უკეთესი პარტიების შექმნა შეეძლოთ.

ჯობნიდა სმისლოვს ბოტვინიკი დაბოლოებაშიც. გავიხსენოთ IV პარტია, სადაც მსოფლიო ჩემპიონმა ოსტატურად გამოიყენა საყაიმო შანსები. სმისლოვმა, რომელიც სამართლიანადაც ითვლება ენდშპილის ვირტუოზად, მატჩ-რევანშში ვერ გამოავლინა თავისი ოსტატობის მცირე ნაწილიც კი. აშკარაა, რომ იგი სათანადოდ არ იყო მომზადებული ესოდენ ძნელი ბრძოლისათვის.

ყურადღებას იქცევს მატჩში წამოჭრილი რამდენიმე პრობლემა. მათ ცხადყვეს, რომ თამაშის დაწყებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თანაბარი ძალის მოჭადრაკეთა შორის. მაგალითად, მატჩის 23 პარტიაში თეთრებმა მოიგეს 9 პარტია, შავებმა — 3. აქედან გამომდინარეობს, რომ თეორიის განვითარებასთან ერთად შავებით თამაში სულ უფრო ძნელი ხდება.



რასაკვირველია, მატჩ-რევანშის შემოქმედებითი მხარე კიდევ დიდხანს იქნება მსჯელობისა და შესწავლის საგანი. ჩვენ მას მხოლოდ ნაწილობრივ შევეხეთ.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაიბრუნა ჩვენი დროის ყველაზე ღვაწლმოსილმა მოჭადრაკემ, საბჭოთა გროსმაისტერმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, მიხეილ ბოტვინიკმა.

**თ. გიორგაძე,**
ოსტატობის კანდიდატი.

## დღეს თბილისში

4 საათზე „ბურევესტნიკის“ სტადიონზე დანიშნულია სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადის საზეიმო გახსნა.

აქვე ჩატარდება მატჩი ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდებს შორის.

დაიწყო „ბურევესტნიკის“ სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევინარჩუნოთ მოპოვებული წარმატებანი

**საუბარი საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილესთან ამხ. თ. ზახაშვილთან**

აგვისტო ჩვენი ზაფხულის ყველაზე ცხელი თვეა, ხოლო მიმდინარე წელს იგი ორმაგად უფრო მცხუნვარე იქნება, განსაკუთრებით — მოსწავლე-სპორტსმენთათვის: 17-24 რიცხვებში თბილისის სპორტული ბაზები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ნორჩ სპორტსმენთა დაძაბული და შეუპოვარი ბრძოლების ასპარეზი გახდება. ამ დღეებში თბილისში პირველად აფრიალდება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ალამი, რომელიც წელს უკვე მეხუთეჯერ მოგვევლინება ჩვენი საყვარელი, სახელოვანი, სიცოცხლითა და ხალისით სავსე მოზარდი თაობის თვალწარმტაც ასპარეზობათა სიმბოლოდ.

ჩვენი რესპუბლიკის განათლების სისტემის მუშაკთა, სპორტული საზოგადოებრიობის, მოსწავლე-სპორტსმენთა წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა დგას: ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ ნორჩ სტუმრებს და ამასთან, ეს ტრადიციული სტუმართმოყვარეობა, თავაზიანობა არ გავაცრცოთ, გარკვეული გაგებით, სპორტულ ბრძოლათა შედეგებზეც. ერთის სიტყვით, ჩვენმა ნორჩმა სპორტსმენებმა, ღირსეულ მასპინძლობასთან ერთად, თავი უნდა გამოიჩინონ აგრეთვე სპორტულ ასპარეზზე ყოველი „მოწინააღმდეგისადმი“ ღირსეული მეტოქეობით. ამას გვავალდებულებს გასულ სპარტაკიადაზე მოპოვებული მესამე საპატიო ადგილი.

მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საქართველოს მოსწავლეთა X რესპუბლიკურ სპარტაკიადას, რომელიც წინ უსწრებს საკავშირო ღონისძიებას და ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ სპორტსმენთა საბრძოლო მზადყოფნის, მორალურ-ფიზიკური წრთობის და თვით აკადემიური მოსწრების დათვალიერებას წარმოადგენს (საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ სპორტულ დღესასწაულში მონაწილეობის უფლებას კარგავენ აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები). ამიტომ, როცა ძირითადად უკვე მოთავდა ძირეული სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივების ყოველდღიური საქმიანობა, ჩატარდა რაიონული, საქალაქო და სხვა მასშტაბის სპარტაკიადები, ახლა მზადების მთელი სიმძიმე რესპუბლიკურ სპარტაკიადას დაეკისრა და ჩვენც, მიმდინარე ეტაპზე მას განვიხილავთ როგორც ძირითად, საკავშირო ასპარეზობისათვის მზადების დამაგვირგვინებელ პროცესს.

საქართველოს მოსწავლეთა X სპარტაკიადა ჩატარდება 14-23 ივნისს. მის პროგრამაში გათვალისწინებულია სპორტის ყველა ის სახეობა, რომლებშიც „პაექრობა“ მოგვიწევს მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეებთან საკავშირო სპარტაკიადის დღეებში. ისევე, როგორც საკავშირო ასპარეზობის შემთხვევაში, რესპუბლიკური სპარტაკიადის ოფიციალურ გახსნამდე ჯერ კიდევ ადრე, 7 ივნისიდან, შეჯიბრებებში ჩაებმებიან ზოგიერთი სახეობის წარმომადგენლები: წყალბურთელები — ბათუმში, კალათბურთელები — სოხუმში და ფრენბურთელები — ქუთაისში. დანარჩენ ათ სახეობაში — მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ფეხბურთში, ცურვაში, წყალში ხტომაში, ნიჩბოსნობაში, სროლაში, ველოსპორტში, ჩოგბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში — ასპარეზობანი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება ზემოაღნიშნულ ვადებში.

რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილე კოლექტივები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოხვდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისისა და ქუთაისის სპორტსმენები. ე. ი. ის კოლექტივები, რომელთაც ძალუძთ ზემოაღნიშნულ ყველა 13 სახეობაში გამოიყვანონ გუნდები. მეორე ჯგუფს შეადგენენ დანარჩენი რაიონებისა და ქალაქების კოლექტივები, რომლებიც შეჯიბრებას გამართავენ მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ფეხბურთში და კალათბურთსა ან ფრენბურთში. ამასთან, იმ მიზნით, რომ უქმად არ დაიკარგოს ამა თუ იმ რაიონის შესაძლებლობანი სპარტაკიადით გათვალისწინებულ დანარჩენ სახეობებში მათ უფლება ეძლევათ დამატებით, ნებისმიერად წარმოადგინონ ესა თუ ის გუნდი და მონაწილეობა მიიღონ უძლიერესთა შორის შეჯიბრებაში. მეორე ჯგუფის კოლექტივთა მიღწევები შეჯამდება ოთხ სახეობაში მოპოვებული საუკეთესო შედეგების მიხედვით, რაშიც ნებისმიერად შერჩეული სახეობაც ჩაითვლება.

სპარტაკიადისათვის მზადების პროცესში განათლების სამინისტროსა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო მოსამზადებელი სამუშაოების ეფექტურობის გაზრდა და მათზე სისტემატური კონტროლი. რამდენჯერმე ჩატარდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი თათბირი, ადგილებზე შემოწმება, სხვადასხვა მასშტაბის ე. წ. საკონტროლო შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამინისტროსა და კომიტეტის ერთობლივი ბრძანებით გატარებული ღონისძიება — მოზრდილთა გუნდების საქალაქო შეჯიბრებებში მოსწავლე-სპორტსმენთა მონაწილეობა, რომლის კეთილისმყოფელმა შედეგებმაც ნათელყვეს მთელი რიგი წარმატებები: ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში მოზრდილთა შორის ნორჩმა სპორტსმენებმა პირველი და საპრიზო ადგილები დაიკავეს სპორტის მთელ რიგ სახეობებში და მდიდარი „საბრძოლო“ გამოცდილებაც შეიძინეს. თბილისის ფრენბურთელ გოგონათა, აგრეთვე ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებმა საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებში მეორე ადგილები მოიპოვეს. წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე თბილისის ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა, მსროლელებმა, ჩოგბურთელებმა, მოცურავეებმა და ა. შ. ყველაფერი ეს იყო ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივების მზადების სისტემატური კონტროლისა და ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისათვის ორიენტირების კარგი საშუალება. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა, რომ უკვე დღესვე გვქონდეს სავარაუდო პროგნოზები მომავალ საკავშირო სპარტაკიადაში წარმატება-წარუმატებლობის შესახებ.

როგორია ისინი?

ჩვენი უპირველესი ვარაუდი და საბრძოლო ამოცანაა გასულ სპარტაკიადაზე მოპოვებული მაღალი შედეგის — მესამე საპატიო ადგილის შენარჩუნება! ეს არც იოლი საქმეა და მის მოპოვებას ყოველი ჩვენგანი ძალების მაქსიმუმს უნდა ახმარდეს. იმედი გვაქვს, რომ კალათბურთელი ჭაბუკები, ფრენბურთელი გოგონები, ფეხბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ჩოგბურთელები, ნიჩბოსნები და ველოსიპედისტები კვლავაც გაამართლებენ ჩვენს იმედებს და მაღალ შედეგებს მიაღწევენ. საპრიზო ადგილებზე უფრო „მოკრძალებული“ პრეტენზიები ექნებათ, ალბათ, კალათბურთელ გოგონებს და ფრენბურთელ ჭაბუკებს, მოცურავეებს, წყალში მხტომელებს, მსროლელებს. ძირითადად ჩვენი მუშაობის სუსტი მხარე, ჩვენი „აქილევსის ქუსლია“ მძლეოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთელების მომზადება. ამიტომ, მთელი ჩვენი ყურადღება მათკენ უნდა იქნეს მიპყრობილი. გაამართლებენ ისინი თუ არა ჩვენს ვარაუდებს? შეძლებენ თუ არა უკეთეს ადგილებზე გადმონაცვლებას. ამ კითხვებზე პრაქტიკული პასუხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენი ძირითადი ამოცანის განხორციელებას. თუ იგი დადებითი იქნება, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ნორჩი ცვლა კვლავაც მტკიცედ ატარებს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესის სახელს.



**სურათზე:** თასი, რომელიც ახალგაზრდა მოჭიდავეებმა მოიპოვეს საკავშირო პირველობაზე.

## ქრონიკა ქალაქებსა და რაიონებში

### სტალინირი

ამას წინათ სტალინირს ეწვივნენ საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეები და გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მძლეოსანთა გუნდი.

სპორტის ოსტატმა გ. ყირმელაშვილმა ქალაქის ფიზკულტურული აქტივისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე: „საქართველოს ტანმოვარჯიშეები ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადასა და საბჭოთა კავშირის პირველობაზე“. შემდეგ მოეწყო თბილისელ და სტალინირელ ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები. სპორტის ოსტატმა მ. ცნობილაძემ, პირველთანრიგოსნებმა ლ. გულუამ, ლ. სალარიშვილმა, თ. მათიკაშვილმა, ა. ჩაჩხიანმა, ი. ამაშუკელმა, ბ. იაგუტოვმა (თბილისი), სტალინირელებმა გ. კოტაევამ, გ. სანაკოევმა, ჯ. გოჩიაშვილმა, მ. გოგინოვამ და ა. გაბარაევმა შეასრულეს ვარჯიშები სხვადასხვა იარაღებზე.

ქალაქის სტადიონზე ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა გორის და სტალინირის მძლეოსანთა გუნდებს შორის. ასპარეზობის პროგრამაში იყო: რბენა 100, 400, 1500 და 5000 მეტრზე, სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა, ბადროს და შუბის ტყორცნა, ამანათრბენი 4X100 მეტრზე.

შეჯიბრებაში მძლეოსნობის აღნიშნულ სახეობებში გამარჯვება მოიპოვეს ლ. თოფჩიშვილმა, გოგლიძემ (ორივე გორიდან), ვ. მატიუშენკომ, ა. კასრაძემ, მ. პუხაევამ, ო. გუჩაშვილმა, ს. ჯიოევმა, ვ. კირეევმა, ი. ქელეხსაევმა და მ. ბაგაევმა (ყველა სტალინირიდან). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სტალინირელმა მძლეოსნებმა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ნიჭიერი მძლეოსნის რუდოლფ ლოხოვის წარმატება სიმაღლეზე ხტომაში. მან გადალახა (მესამე ცდაზე) 2 მეტრი, რითაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

შეჯიბრებას სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. სოდოევი.

ვ. მელქოევი

## აქტივის კრებაზე

ონში ჩატარდა დოსააფის რაიონული აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტორგანიზაციების მდივნები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, დოსააფის ძირეულ ორგანიზაციათა კომიტეტების თავმჯდომარეები.

საკავშირო დოსააფის IV ყრილობისა და საქართველოს დოსააფის II კონფერენციის შედეგებისა და რაიონული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. მინდელი, რომელმაც აღნიშნა, რომ ონის ჯანმრთელობის განყოფილების, პირველი საშუალო სკოლის, რაიაღმასკომის, შქმერისა და სევის კოლმეურნეობათა პირველადი ორგანიზაციები უნარიანად იყენებენ რა აქტივს, მოწინავეთა რიგებში დგანან. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სოფელ გადამშის, ზვარეთის, წედისის და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციების საქმიანობაზე. ისინი სუსტად მუშაობენ, იშვიათად აწყობენ შეჯიბრებებს, არ ჰყავთ აქტივი.

სიტყვებით გამოვიდნენ ი. ჯანუევი (ონის I საშუალო სკოლა), ლ. ჰუმბაშვილი (სორის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი), გ. შერაზადიშვილი (პიპილეთის საშუალო სკოლა), ა. ტოგონიძე (ფარახეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე) და სხვები.

ნ. დუშუაშვილი

## დედაქალაქის საუკეთესო გაზეგზე

დადგა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის შემოწმების დღეები. გუშინ დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე დაიწყო „ბურევესტნიკის“ სპარტაკიადა, რომელიც სამ ჯგუფად ტარდება. პირველ ჯგუფს ქმნიან სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო (თბილისი), ფიზკულტურისა და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტები. მომდევნო ჯგუფებში გაერთიანებული არიან რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივები.

ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, „დინამოს“ საცურაო აუზში, კიროვის სახელობის პარკში, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბის სპორტდარბაზებში გუშინ დაიწყო და ხვალ დამთავრდება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები სპორტულ ტანვარჯიშში, ცურვაში, ძალოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობასა და ფარიკაობაში. ველოსიპედისტები საგზატკეცილო რბოლაში გამარჯვებისათვის იბრძოლებენ 10-12 მაისს ნატახტარის მიდამოებში. ორ დღეს (11-12 მაისს) გაგრძელდება მოკრივეთა შეხვედრები „განთიადის“ დარბაზში. კიროვის პარკისა და „განთიადის“ მოედნებზე 10-დან 17 მაისამდე მოეწყობა შეხვედრები კალათბურთსა და ფრენბურთში. თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის კორტებზე (11-13 მაისს) ჩატარდება ჩოგბურთელთა შეხვედრები, ტტს-ის დარბაზში გუშინ დაიწყო და დღეს მთავრდება შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთელთა ფინალური მატჩები შედგება 14 მაისს სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მდებარე სპორტდარბაზში.

• • •

იმის გამო, რომ ამ დღეებში საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდი ერევანში მიემგზავრება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპორტსმენთა შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, „ბურევესტნიკის“ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა შეჯიბრება დაიწყო 8 მაისს. ეს იყო ფაქტიურად სტუდენტთა სპარტაკიადის სტარტი, მაგრამ იგი არც თუ ისე სახარბიელო გამოდგა.

მძლეოსანთა შეჯიბრება დიდი ნაკლოვანებებით აღინიშნა. ცუდვა აღიარებული სჯობია. მონაწილე სპორტსმენთა მნიშვნელოვანი ნაწილის მომზადების დონე იმდენად დაბალია, რომ ხშირად ისინი მესამე სათანრიგო ნორმატივსაც ვერ ასრულებდნენ. ეს განსაკუთრებით მეორე და მესამე ჯგუფების უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლთა შესახებ ითქმის. 200 მეტრზე რბენაში ქალთა შორის 11 სპორტსმენიდან მხოლოდ პრიზიორებმა — ა. ოვივიანმა, გ. ზრაჟევსკაიამ და ე. ზულმა (სამივე ფიზკულტურის ინსტიტუტიდან) შეასრულეს სათანრიგო ნორმატივი, ხოლო 400 მეტრზე რბენის სტარტზე გამოსული 4 სტუდენტიდან — ერთმა (!). ვაჟთა შორის ამავე სახეობაში მხოლოდ მონაწილეთა 30 პროცენტმა მოახერხა სათანრიგო ნორმატივის ჩვენება. ესტაფეტაში 4X100 მეტრზე, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივებმა, მეორე ჯგუფში — გორის ვაჟთა და სტალინირის ქალთა გუნდებმა. ამ სახეობაში განსაკუთრებით „თავი ისახელა“ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა, რომელმაც გაცილებით ცუდი შედეგი — აჩვენა, ვიდრე პირველი ჯგუფის ქალთა გუნდებს შორის მესამე ადგილზე გამოსულმა კოლექტივმა, ხოლო თელაველი ქალები ამავე დისტანციის გარბენას მოუნდნენ 1.04.3-ს (!?). მართალია, ხუთმა ვაჟმა დაძლია ერთნაირი სიმაღლე — 175 სმ, მაგრამ ეს შედეგი საგრძნობლად ჩამორჩება საზოგადოების რეკორდს (190 სმ). გამარჯვება მიეკუთვნა გ. ვიბლიანს.

შედარებით კარგი შედეგები იქნა ნაჩვენები ბადროს ტყორცნაში. ვაჟთა შორის გ. ჩადუნელმა (სახელმწიფო უნივერსიტეტი) მოიპოვა პირველი ადგილი — 48,05 მ. ნ. კლიუევმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) 100-მეტრზე აჩვენა 10,7 წამი, ლ. ტულუშმა (ბათუმის პედინსტიტუტი) ბირთვი ჰკრა 12,27 მეტრზე ხოლო 110 მეტრზე თარჯრბენში ფინიშთან პირველი იყო გ. ლეჟავა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 15,1.

მძლეოსანთა შეჯიბრება გუშინ დამთავრდა. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტმა.

# ჩემპიონატის ლიდერები და აუტსაიდერები

◆

**1958 წლის საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში**

◆

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები თბილისის „დინამომ" და „ბურევესტნიკმა" ტალინში დაიწყეს. აქ მათ გარდა გამოდიან მოსკოვის დინამოელები, ლენინგრადის „ბურევესტნიკი", კაუნასის „ჟალგირისი" და ტალინის „კალევი".

ტურნირში დაძაბული ბრძოლაა არა მარტო ჩემპიონის სახელისათვის, არამედ აუტსაიდერთა რიგებიდან თავის დაღწევისთვისაც. ჩემპიონატში მონაწილე 12 გუნდი ორ თანაბარ ზონადაა გაყოფილი. პირველი ექვსეული, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, სატურნირო ცხრილის ზედა ჯგუფის გუნდები: რიგის და მოსკოვის არმიელები, თბილისის და მოსკოვის დინამოელები, ალმა-ატისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკი" იბრძვიან საპრიზო ადგილებისათვის, იმ დროს, როდესაც ქვედა ექვსეულს, კერძოდ კი რიგის და მოსკოვის სპარტაკელებს, ტალინის „კალევს", კაუნასის „ჟალგირისს", სვერდლოვსკის გუნდსა და თბილისის „ბურევესტნიკს" არანაკლები ბრძოლა აქვთ საშიში ზონიდან თავის დაღწევისათვის.

როგორც ცნობილია, წელს „ა" კლასს დატოვებს ორი გუნდი ე. ი. ქვედა ნახევარში უმთავრესად ბრძოლაა მეათე ადგილისათვის და ზევით. წინასწარ იმის თქმა, თუ რომელი გუნდი გავა მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებზე, ძნელია. ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ საგანგაშო სიგნალებზე ლაპარაკი უკვე შეიძლება.

ლიტვის კალათბურთელები, ერთ დროს ჩვენს ქვეყანაში უძლიერესნი — დღეს საკმაოდ უსიამოვნო ფაქტის წინაშე დგანან. სახელმოხვეჭილი კალათბურთელების წასვლამ გუნდიდან ლიტველთა პოზიციები საკავშირო ტურნირებში შეარყია. ახალგაზრდებმა ვერ შეცვალეს ძველი გვარდია და გამოვიდა ისე, რომ პირველი წრის შემდეგ კაუნასის „ჟალგირისი" 2 ქულით მე-12 ადგილზე აღმოჩნდა. მეორე წრის პირველი მატჩი ლიტველებს მოსკოვის „დინამოსთან" ჰქონდათ. ვინ იფიქრებდა ამ შეხვედრაში „ჟალგირისის" გამოცოცხლებას. თამაშის პირველ ნახევარში მოედანზე თანაბარი ბრძოლა გაიმართა. ერთი ქულის უპირატესობით დინამოელებმა დაამთავრეს ტაიმი — 38:37. მეორე ნახევარში კაუნასელებმა აჯობეს მეტოქეს და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 75:71.

მეორე დღეს კაუნასის გუნდი შეხვდა ტალინის „კალევს". ორივე კოლექტივი აუტსაიდერად ითვლება, მაგრამ ერთგვარი მორალური უპირატესობა ამ ტურნირში ესტონელთა მხარესაა, რადგან ისინი შეხვედრებს საკუთარ ქალაქში, თავიანთ გულშემატკივართა წინაშე ატარებენ. ესტონელებმა მოიგეს ეს შეხვედრა — 64:58 და ნაწილობრივ გაიუმჯობესეს მდგომარეობა სატურნირო ცხრილში. „ა" კლასის მეორე დებიუტანტი, თბილისის „ბურევესტნიკი", პირველ დღეს ტალინის გუნდს შეხვდა. ბრძოლა მეტად დაძაბული და საინტერესო იყო. პირველი ნახევარი მოიგეს მასპინძლებმა სამი ქულით — 34:31. მეორე ნახევარში უპირატესობა ცვალებადი იყო, მაგრამ დაწინაურება ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ მოახერხა. 4 წამი აკლდა შეხვედრის დამთავრებას, ანგარიში კი საყაიმო იყო — 68:68. და სწორედ დარჩენილ წამებში ესტონელებმა მიიღეს საჯარიმო სროლის უფლება, რომელიც წარმატებით გამოიყენეს. თამაში თბილისელებმა წააგეს 1 ქულით — 68:69.

მეორე მატჩი ახალგაზრდულ კოლექტივს თავის თანამემამულეებთან — დინამოელებთან ჰქონდა. „ბურევესტნიკმა" თამაში ენერგიულად ჩაატარა და დაამარცხა თბილისის „დინამოს" ძლიერი კოლექტივი — 66:64 (31:31). ყველასათვის მოულოდნელი იყო თბილისის „დინამოს" დამარცხება ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" და ისიც ასეთი დიდი ანგარიშით — 60:83.

ლენინგრადის გუნდი მეორე დღეს დამარცხდა მოსკოვის „დინამოსთან" — 63:69.

ჩემპიონატის მესამე ტურში თბილისის „დინამო" შეხვდა მოსკოვის „დინამოს". ქართველმა კალათბურთელებმა მოიგეს რა პირველი ნახევარი 14 ქულით — 49:35, შემდგომშიც შეძლეს ინიციატივის შენარჩუნება და გაიმარჯვეს — 79:69. ფორმაში შედიან ლიტველი კალათბურთელები. მორიგი მატჩი მათ მოუგეს თბილისის „ბურევესტნიკს" — 78:61 (40:33). აუტსაიდერთა ზონას სულ უფრო შორს სცილდება ტალინის „კალევი". ამ დღეს მან მეტად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — 76:75 (34:35).

ტურნირი გრძელდება...

**ს. დუდკინი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ტალინი, ჩვენი საკ. კორესპონდენტი.**

* * *

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 11 მაისისათვის**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკვო რიგა | 11 | 10 | 1 | 10 |
| „დინამო" მოსკოვი | 14 | 9 | 5 | 9 |
| „დინამო" თბილისი | 14 | 8 | 6 | 8 |
| „ბურევესტ." ალმა-ატა | 11 | 7 | 4 | 7 |
| „ბურევესტ." ლენინგ. | 14 | 7 | 7 | 7 |
| „კალევი" ტალინი | 14 | 6 | 8 | 6 |
| სვერდლოვსკი | 11 | 4 | 7 | 4 |
| „სპარტაკი" რიგა | 11 | 4 | 7 | 4 |
| „ჟალგირ." კაუნასი | 14 | 4 | 10 | 4 |
| „ბურევესტ." თბილისი | 14 | 4 | 10 | 4 |
| „სპარტაკი" მოსკოვი | 11 | 3 | 8 | 3 |

**შენიშვნა:** ცხრილში შეტანილია მხოლოდ ტალინის ჯგუფის შეხვედრათა შედეგები.

# პირველი ტური

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტბაზებზე 5 დღეს მიმდინარეობდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში.

შეჯიბრება მოეწყო ორ ტურად. პირველ ტურში ჩატარდა მხოლოდ გუნდური პირველობა. საბოლოოდ გამარჯვებული გუნდები და ჩემპიონები ცალკე იარაღების მიხედვით გამოვლინდებიან მეორე ტურის ჩატარების შემდეგ, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის" (3) თბილისის განათლების განყოფილების (2) და „დინამოსა" და „სპარტაკის" გუნდები.

ქალთა შორის რაპირით ბრძოლაში სამმა გუნდმა („ბურევესტნიკი" I, „ბურევესტნიკი" III და განათლების განყოფილება I) მოიგო 4-4 შეხვედრა და 8-8 ქულა დააგროვა. გამარჯვების ბედი გადაწყვიტეს ცალკეულ შეხვედრათა შედეგებმა და პირველობა „ბურევესტნიკის" I გუნდს მიეკუთვნა. მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკის" III გუნდი. ვაჟთა შორის რაპირით ბრძოლაში პირველი სამი ადგილი „ბურევესტნიკის" გუნდებმა გაინაწილეს.

ესპადრონში უძლიერესი აღმოჩნდნენ „სპარტაკის" მოფარიკავეები.

ელექტროდაშნით ბრძოლაში ყველა შეხვედრა მოიგო და 12 ქულით პირველი ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკის" მეორე გუნდმა. მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე გამოსული განათლების განყოფილების პირველი გუნდი.

საერთო პირველი ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკის" პირველმა გუნდმა, მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკის" მეორე გუნდი. მესამე ადგილი მიეკუთვნა განათლების განყოფილების კოლექტივს.

**ა. ბაბუნაშვილი**

# ამერიკული კალათბურთის „ვარსკვლავები"

შეერთებული შტატების კალათბურთის ცნობილი სპეციალისტები ყოველწლიურად ადგენენ თავიანთი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა სიებს. ამ მოთამაშეებისაგან დგება ეგრეთწოდებული ნაკრები გუნდი. მართალია, ასეთი გზით შედგენილი ნაკრები არცერთ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს (ნაკრების საბრძოლო შემადგენლობა უკანასკნელ ხანებში დგება რომელიმე კლუბის ბაზაზე და არა ცალკეული „ვარსკვლავებისაგან", როგორც ეს უწინ იყო), მაგრამ მასში მოხვედრა დიდი პატივი და სახელია ყოველი კალათბურთელისათვის.

როგორც ჟურნალი „სპორტივნაია ჟიზნ როსიი" (1958 წელი №4) იუწყება 1958 წელს შედგა შეერთებული შტატების ნაკრების სამი ხუთეული, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ სამი გუნდი. მის შემადგენლობაში შევიდნენ:

**პირველი გუნდი** — უილტ ჩემბერლეინი (კანზასი) — 213 სანტიმეტრი, ბარნეი კეიბლი (ბრედლეი) — 201 სანტიმეტრი, ელჯირ ბეილორი (სიეტლი) — 198 სანტიმეტრი, გაი როჯერსი (ტემპლი) — 183 სანტიმეტრი, ფრენკ ჰოვარდი (ოგაიო) — 196 სანტიმეტრი.

**მეორე გუნდი** — ჯიმ სმიტი (სტენბენვილი) — 198 სანტიმეტრი, ბობ ბუზერი (კანზასი) — 203 სანტიმეტრი, არჩი დიზი (ინდიანა) — 203 სანტიმეტრი, ჯონ ლი (ჯეილი) 190 სანტიმეტრი, დონ ჰენონი (პიტსბურგი) — 173 სანტიმეტრი.

**მესამე გუნდი** — ჰუბერტ რიდი (ოკლაჰომა-სიტი) — 208 სანტიმეტრი, კელ რემზეი (ნუი) — 192 სანტიმეტრი, ტემპლ ტაკერი (რაისი) — 208 სანტიმეტრი, ჯო სტეფენსი (ვიჩიტა) — 183 სანტიმეტრი, ტომი კერნსი (ჩრდილოეთ კაროლინა) — 173 სანტიმეტრი.

უნდა აღინიშნოს რომ ამ სიაში ვერ მოხვდა საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ვერც ერთი ამერიკელი კალათბურთელი.

# სპორტული ტანვარჯიშის შემდგომი აღმავლობისათვის

◆

**გ. ჭილაია**
**სახელმწიფო მწვრთნელი ტანვარჯიშში**

◆

გასულ წელს საქართველოს ბევრი ფიზკულტურული ორგანიზაციის ტანმოვარჯიშეები წარმატებით გამოვიდნენ საკავშირო შეჯიბრებებზე. განათლების სამინისტროს მოზარდ ტანმოვარჯიშეთა კოლექტივმა არა მარტო შეინარჩუნა წინა წელს მოპოვებული პირველი ადგილი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, არამედ პირად შეჯიბრებებშიც, როგორც გოგონებს, ისე ვაჟებს შორის, გამოვიდა გამარჯვებული. საქართველოს რკინიგზის სკოლებისა და „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები კოლექტივები კვლავ პირველობდნენ ამ ორგანიზაციების საკავშირო შეჯიბრებებში. თბილისის უნივერსიტეტის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებმა დაიკავეს სათანადოდ მესამე და მეოთხე ადგილები საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებლებს შორის და ბოლოს, საქართველოს ნაკრებმა კოლექტივმა პირველი ადგილი მოიპოვა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, საქართველოს სსრ ნაკრებმა კოლექტივმა 1957 წლის საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე თავისი ტრადიციული მეხუთე ადგილიდან მერვე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო პირადი შეჯიბრებების 36 საპრიზო ადგილზე არცერთი ქართველი ტანმოვარჯიშე არ მოხვდა.

რით აიხსნება საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ესოდენ დიდი ჩავარდნები ამ შეჯიბრებაში?

1957 წელი უდავოდ კრიზისული წელი იყო სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ნაკრები გუნდისათვის. ამ წელს, სხვადასხვა მიზეზებით, მისი ძირითადი შემადგენლობიდან გავიდნენ სპორტის ოსტატები: ვაჟები—შ. ჩაჩხიანი, ვ. გურსკი, ვ. ასათიანი, ა. გრინშტეინი, ვ. შავდია, ვ. ჯაიანი, ვ. კულუმბეგაშვილი; ქალები — ე. სოკოლოვა და ტ. კომისარენკო. ე. ი. ნაკრები კოლექტივის ნახევარზე მეტი.

რესპუბლიკაში წინა წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგად საშუალება მოგვეცა შეგვევსო ეს უდიდესი დანაკლისი ახალგაზრდა, ნიჭიერი, მაგრამ ჯერ მოუმწიფებელი და დიდ სპორტულ ასპარეზობებში გამოუცდელი ტანმოვარჯიშეებით. საქმე იმითაც რთულდებოდა, რომ 1957 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შედიოდა შეჯიბრების ახალი, გაძნელებული (სპორტის ოსტატთა) პროგრამა.

ასეთ მდგომარეობაში აგვისტოს მეორე ნახევრიდან შევუდექით გუნდების მზადებას ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადისათვის. 45 დღის განმავლობაში მწვრთნელებისა და ტანმოვარჯიშეების დაუღალავმა შრომამ შესაძლებელი გახადა გუნდების მომზადების კარგად მოფიქრებული გეგმის განხორციელება, რომლის ძირითადი მიზანი იყო ჩვენი და სომხეთის ვაჟთა გუნდების ტექნიკური შედეგების მოსალოდნელი სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა, ხოლო ქალთა გუნდების შედეგების სხვაობის მაქსიმალურად გაზრდა. საკითხს მხოლოდ ასეთ გადაჭრას შეეძლო შექმნილ მდგომარეობაში უზრუნველეყო პირველობის ამ ორ პრეტენდენტს შორის მოსალოდნელ პრინციპულ სპორტულ ბრძოლაში საქართველოს კოლექტივისათვის უპირატესობის მოპოვება.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების დღეებში (14-17 ოქტომბერს) წამყვანი ტანმოვარჯიშეების — მ. ჯუღელის, ვ. კლიმოვას, რ. შარაბიძის, რ. კაჭახიძის ავადმყოფობის მიუხედავად, კოლექტივმა შესანიშნავად განახორციელა დასახული გეგმა და 27 ქულით ჩამოიტოვა მრავალ სპორტულ ასპარეზობაში გამობრძმედილი, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი სომხეთის კოლექტივი.

ასე დამთავრდა საკავშირო შეჯიბრებისათვის მზადების პირველი პერიოდი.

ამ წარმატებამ ერთგვარი თვითდამშვიდება გამოიწვია როგორც ტანმოვარჯიშეებში, ისე ზოგიერთ ხელმძღვანელ ფიზკულტურულ ორგანიზაციაში. შენელდა საკავშირო შეჯიბრებებისათვის მზადების სპარტაკიადამდე აღებული ტემპი, მოდუნდა ტანმოვარჯიშეთა ყურადღება, დაირღვა მზადების წინასწარ შემუშავებული გეგმა.

საკავშირო შეჯიბრებისათვის მზადების მეორე პერიოდი სრული ენერგიით განახლდა 13 ნოემბრიდან. დარჩენილი ორი კვირა მაქსიმალურად იქნა გამოყენებული და გუნდები კვლავ მომაგრდნენ, მაგრამ წინა სამი კვირის მანძილზე „განცხრომამ" საქმეს თავისი კვალი დაამჩნია. ამას დაერთო გუნდების შემადგენლობიდან კიდევ ერთი რიგი ტანმოვარჯიშეების — ი. ბალიაურის, ა. ჩარგეიშვილისა და მ. ჯუღელის გასვლა და ჩვენი ნაკრები კოლექტივის ზოგიერთი ტანმოვარჯიშეების შეჯიბრებაში უსულგულო, ნამდვილად ლაჩრული გამოსვლა, რამაც განაპირობა ჩვენი კოლექტივის მიერ არა მარტო სომხეთისა და უზბეკეთის კოლექტივებთან, არამედ წაგება ბელორუსიის კოლექტივთანაც კი.

როგორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ ამ მწარე გაკვეთილიდან?

ნაკრები გუნდების ერთობლივი წვრთნის ორგანიზაცია მხოლოდ შეკრებათა პერიოდში სასურველ ეფექტს არ იძლევა. საჭიროა ნაკრები გუნდების ერთობლივი წვრთნის სრულწლიური ორგანიზაცია. ყოვლად შეუწყნარებელია ყურადღების მოდუნება გუნდების მზადების რომელიმე პერიოდში. ყოველი ტანმოვარჯიშის მთელი ენერგია მუდმივად უნდა იყოს მიმართული კარგად დამუშავებული წვრთნის გეგმის ყოველი დეტალის ზედმიწევნით ზუსტად და განუხრელად შესრულებისაკენ.

ამჟამად მიღებულია გადამჭრელი ზომები. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განაახლა სამი წლის წინათ დაშლილი ნაკრები გუნდების სრულწლიური ერთობლივი წვრთნა თბილისისა და ქუთაისის ახალგაზრდობის საспорტო სკოლების ბაზაზე და მიუჩინა მათ სხვა სამუშაოებიდან განთავისუფლებული ხელმძღვანელობა,ააშენა თბილისში შესანიშნავი სატანვარჯიშო სპეციალიზებული დარბაზი. გუნდის ძირითად შემადგენლობაში არიან ახლა უკვე გარკვეული გამოცდილების მქონე და, რაც მთავარია, დიდი მოცულობის დატვირთვებს შეჩვეული ნიჭიერი ტანმოვარჯიშეები. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი წელსვე დაუბრუნებენ საქართველოს პირად საპრიზო ადგილებს და თავის კოლექტივს წინ წასწევენ.

მაგრამ ნაკრები გუნდების, ე. ი. ტანმოვარჯიშეთა მცირე ჯგუფის, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის მოგვარება საკმარისი არ არის საქართველოში სპორტული ტანვარჯიშის სასურველ სიმაღლეზე აყვანისა და მისი შემდგომში შენარჩუნებისათვის.

ამ საკითხის დადებითად გადაჭრა უშუალოდ დამოკიდებულია მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხის, თვითონ რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ჩვენი წამყვანი ტანმოვარჯიშეების ტოლფასოვან სპორტსმენთა აღზრდის მოგვარებაზე. ცხადია, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება თავიდან ავიცილოთ 1957 წლის საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენი ტანმოვარჯიშეების ჩავარდნის მსგავსი შემთხვევები, როდესაც დიდი რაოდენობით გვეყოლება პირველხარისხოვანი ტანმოვარჯიშეები. მაგრამ, რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში არ დგას ეს მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე.

საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის არც ერთ სპორტულ საზოგადოებას და უმაღლეს სასწავლებელს უკანასკნელი 15 წლის მანძილზე არ შეუვსია საქართველოს ნაკრები გუნდი მათ მიერ მომზადებული თუნდაც ერთი ტანმოვარჯიშით.

(დასასრული იქნება)

# XIX ჩემპიონატი

9 მაისს თბილისში, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო საქართველოს 1958 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა კენჭისყრა. ჩემპიონატის მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. თ. ლომაია, 2. თ. ბელთაძე (დუშეთის რაიონი), 3. ოსტატი ა. ბუსლაევი, 4. ა. რაზოვსკი (ქუთაისი), 5. მ. დემურია (ზუგდიდი), 6. საერთაშორისო ოსტატი ჰ. კასპარიანი, 7. ა. გაგუა (ქუთაისი), 8. ი. ლოლუა (ფოთი), 9. ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე, 10 გ. მაჭავარიანი, 11. ოსტატი ბ. გურგენიძე, 12. ოსტატობის კანდიდატი ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი), 13. გ. გამრეკელი, 14. ოსტატობის კანდიდატი გ. კალატოზიშვილი, 15. პ. მორჩილაძე (ხულოს რაიონი), 16. ოსტატი მ. შიშოვი, 17. ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაგიძე, 18. ა. იზვოზჩიკოვი.

გუშინ შედგა პირველი ტური.

ფელეტონი





ეს ამბავი მოხდა 3 მაისის მშვენიერ დილას.

თელავის საავტობუსო სადგურის სალაროსთან იდგა ერთი ახალგაზრდა კაცი პატარა ჩემოდნით ხელში და უცდიდა თავის რიგს.

ამ უმნიშვნელო ფაქტზე არ ღირდა ყურადღების შეჩერება და დროის დაკარგვა, ვინაიდან საავტობუსო სადგურების სალაროებთან ყოველთვის დგას ახალგაზრდა ხალხი პატარა ჩემოდნებით ხელში და თავის რიგს უცდის, მით უმეტეს, კვირა და უქმე დღეებში, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ იმას, ვინც თელავის სალაროსთან იდგა, მეტად საეჭვო სახით გარს უვლიდა სხვა ახალგაზრდა და დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. აქედანაც შეხედა, იქიდანაც, თავით ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა და მერე თავაზიანად ჰკითხა — ფეხბურთის მსაჯი ხომ არა ბრძანდებითო?

ნაცნობობა სწრაფად შედგა: ერთი მათგანი, მართლაც, ფეხბურთის მსაჯი აღმოჩნდა — ვ. მედვედევი ქ. რუსთავიდან, რომელიც ქისტაურში მიემგზავრებოდა იქაური და წითელწყაროს ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის სამსაჯოდ, მეორე კი, ცნობისმოყვარე ახალგაზრდა, რომელიც ასე გაფაციცებით ეძებდა მსაჯს თელავის საავტობუსო სალაროს რიგში — ქისტაურის „კოლმეურნის“ წარმომადგენელი ერისთავი.

მათი ურთიერთ დამოკიდებულებაც ასევე სწრაფად გაირკვა: ერთი მათგანი მასპინძელი იყო, ხოლო მეორე სტუმარი და როგორც ეს შეეფერება სტუმარ-მასპინძლობის მამა-პაპურს ადათსა და წესს, ერისთავი ფიცხლად დატრიალდა და მაშინვე გააჩინა ორი ბილეთი ავტობუსზე თელავი-ქისტაური. მართალია, ბილეთი ამ დისტანციაზე არა ღირს ძვირი, სულ რაღაც 4 მანეთი და 15 შაური, მაგრამ ფასი რა სახსენებელია, როცა ლაპარაკია სტუმარ-მასპინძლობაზე. რა, 10 მანეთი, ან 25 მანეთი რომ ღირებულიყო, დაიხევდა უკან ქისტაურის „კოლმეურნის“ წარმომადგენელი? როგორ გეკადრებათ!

ერთი სიტყვით, ავტობუსმა დაძრა ორი ახალი მეგობარი თელავიდან და ზედ შუა ქისტაურში აიყვანა. შუა ქისტაურს იმიტომ ვამბობთ, რომ ერისთავმა მანქანა მართლაც შუა სოფელში გააჩერებინა, თავის სახლთან.

— თქვენი შესაფერისი სასტუმრო ქისტაურში ჯერ არ გაგვაჩნია, ჩემო ძმაო, თამაშის დაწყებამდე ჯერ ადრეა და თუ სტუმრობა იყოს, სახლში მეწვიეთ, მოისვენებთ, დაღლილი ხართ. — დაიყაბულა ერისთავმა მედვედევი, თუმცა, ამ დაყაბულებას ბევრი ხვეწნა და მუდარა არ დასჭირებია. შეთანხმება სწრაფად იქნა მიღწეული.

ერისთავების ოჯახი გულუხვად დახვდა ვ. მედვედევს. ვიდრე მომავალი მატჩის მსაჯი ისვენებდა მისთვის ცალკე გამოყოფილ ოთახში, სახელდახელოდ გაიშალა სუფრა. სანამ შესაწვავი იწვებოდა, გამოსაცხობი ცხვებოდა და მოსახარში იხარშებოდა, ერისთავმა ჰკითხა მედვედევს: რა გირჩევნია, ღვინო დავლიოთ თუ ჭაჭაო?

ამ უკანასკნელი სიტყვის გაგონებაზე ფეხბურთის „ქურუმს“ ისე აუციმციმდა თვალები, ისე მადიანად გაილოკა ტუჩები, რომ შეკითხვის გამეორებას აზრი არა ჰქონდა — მედვედევს ჭაჭა ერჩივნა ღვინოს. უფრო მეტიც, ჭაჭა მას სულსა და გულს ერჩივნა.

რამდენი დალიეს მეგობრებმა? ვინ იცის. კარგა ბლომად კი ხუხეს „პილატეს ცრემლები“, მათი შეხედულებანი ალკოჰოლზე საოცრად დაემთხვა ერთმანეთს. ერისთავი (როგორც ეს მან თვითონ თქვა), თურმე ყოველდღე მიირთმევს ჭაჭის მოზრდილ დოზას, მედვედევი კი დიდი ხანია მტკიცედ დაუძმაკაცდა სპირტის ნაწარმს და სვამს ყოველ მოხერხებულ თუ მოუხერხებელ შემთხვევაში და (ბოროტი ენები ამბობენ) ერთხელ უჩხუბია და დაჭრილი საავადმყოფოშიც კი წოლილა. როცა გვარიანად შენაყრდნენ, ენამ ბორძიკი დაიწყო და გონებასაც სასიამოვნო ბურუსი გადაეფარა, ერისთავმა ერთი პატარა თხოვნა შეაპარა მედვედევს.

— მსაჯი ხარ, სპეციალისტი, წითელწყაროს გუნდს კარგად იცნობ. მოდი, თუ ძმა ხარ, მოგვეხმარე და ჩვენს ბიჭებს გაურჩიე თამაში.

ამაზე როგორ აწყენინებდა მედვედევი ასეთ გულუხვ მასპინძელს. წაყვა ერისთავს და ქისტაურის „კოლმეურნეს“ დაწვრილებით (რამდენადაც ეს მთვრალ კაცს შეუძლია) გაურჩია მომავალი თამაში. განსაკუთრებით იმას არიგებდა ქისტაურელებს — პახომოვი დაიჭირეთ, ძალიან სახიფათო თავდამსხმელიაო.

მოახლოვდა თამაშის დაწყების დრო. ვინაიდან ქისტაურის სტადიონზე გასახდელი არაა, მედვედევი გაჭირვებით შეძვრა წითელწყაროელების „მოსკვიჩში“, იქ რის ვაინაჩრობით ჩაიცვა სამსაჯო ფორმა და, როგორც იქნა, წარსდგა გუნდებისა და მაყურებელთა წინაშე.

თამაშის მსვლელობა საინტერესო არაა, იგი მოიგეს წითელწყაროელებმა ანგარიშით [illegible]

როგორ ფიქრობთ, კარგად იმსაჯებდა მთვრალი [illegible] უნდა არა. გათავდა თუ არა თამაში, მედვედევი ბეწვზე გაექცა ქისტაურელებს სწორედ იმ „მოსკვიჩით“, რომელშიც საათნახევრის წინ ძლივს ჩაიცვა ფორმა.

ასე სკანდალურად დამთავრდა მატჩი ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე მესამე ჯგუფის გუნდებს ქისტაურის „კოლმეურნესა“ და წითელწყაროს „შირაქს“ შორის.

რა გაუჭირდა ასე მედვედევს, რომ მატჩის დღეს არ გალეშილიყო არყით? ან ერისთავი რატომ არ შეაწუხა სინდისმა, როცა მსაჯს ჭაჭას აყლაპებდა თამაშის წინ?

ახია ერისთავზე ეს ჩაწიხლული პურმარილი! ახია მედვედევზე ჩამწარებული სუფრა! ორივემ მიიღო სათანადო სასჯელი: ვ. მედვედევს საერთოდ აეკრძალა ფეხბურთის მსაჯობა. ახმეტის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. გაგნიძეს მიეცა საყვედური იმის გამო, რომ ერისთავის მაგვარი ხალხი ჰყავს გუნდების წარმომადგენლებად. მასვე მიეცა წინადადება ქისტაურის გუნდში შეცვლილ იქნას წარმომადგენელი.

ღვინის სმა არაა ურიგო. არყის დალევაც შეიძლება, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს დრო, ადგილი და ზომა. ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ მედვედევმაც, ერისთავმაც და მათ „მიმდევრებმაც“.

რ. ქორიძე

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 8 | 4 | 4 | 0 | 22.10 | 12 |
| „ტორპედო“ | 8 | 3 | 5 | 0 | 21:11 | 11 |
| „ლოკომოტივი“ | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 10 |
| „დინამო“ კ. | 8 | 2 | 5 | 1 | 15:10 | 9 |
| ცსკ მო | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 8 |
| „შახტიორი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| „დინამო“ მ. | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 8 |
| „ზენიტი“ | 7 | 2 | 3 | 2 | 8:10 | 7 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 8 | 1 | 5 | 2 | 7:9 | 7 |
| „დინამო“ თბ. | 8 | 3 | 1 | 4 | 12:24 | 7 |
| „მოლდოვა“ | 7 | 0 | 4 | 3 | 6:14 | 4 |
| „ადმირალტეეცი“ | 8 | 1 | 0 | 7 | 11:26 | 2 |

* * *

**სტალინო. 7 მაისი.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „შახტიორი“ (სტალინო)-„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

**ლენინგრადი. 8 მაისი.** ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მატჩი, ადგილობრივ „ადმირალტეეცსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

თამაში დაიწყო დინამოელთა სწრაფი შეტევით. თავდამსხმელებს ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები კარში არ იყო ზუსტი. ამან საშუალება მისცა „ადმირალტეეცს“ ხელთ აეღო ინიციატივა და იერიშზე უკვე ლენინგრადელები გადმოვიდნენ. მალე ანგარიში გახსნა დენისოვმა, ხოლო ივანოვმა გაიტანა მეორე ბურთიც — 2:0. ტაიმის დასასრულს მელაშვილმა გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი — 2:1.

შესვენების შემდეგ თბილისელები ხანგრძლივად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ განმეორდა პირველი ტაიმის ისტორია: დარტყმები კარში კვლავ არაზუსტი იყო. გარდა ამისა, დაცვაში დაშვებულ იქნა რამდენიმე შეცდომა, რომელთაგან ერთ-ერთი მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს და ანგარიში გახდა 3:1. „ადმირალტეეცმა“ მოიპოვა პირველი გამარჯვება გათამაშებაში.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 3:2

IV ზონა

მდგომარეობა 11 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 5 | 5 | 0 | 0 | 16:2 | 10 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 9 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 5 | 4 | 0 | 1 | 11:1 | 8 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| „შირაქი“ (ლენინაკანი) | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 6 |
| სკვო (თბილისი) | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 6 |
| „სპარტაკი“ (სტავროპოლი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 4 |
| „მეტალურგი“ (სტალინგრადი) | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 4 |
| „თერგი“ (გროზნო) | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | 3 |
| „შახტიორი“ (შახტი) | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 2 |
| სკვო (როსტოვი) | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 2 |
| „ტემპი“ (მახაჩ-კალა) | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 2 |
| „შახტიორი“ (კადიევკა) | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |
| „ტრუდი“ (ასტრახანი) | 4 | 0 | 0 | 4 | 3.9 | 0 |
| „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი) | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |




1 ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისათვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალ.“ (რუსთ.) | 5 | 4 | 1 | 0 | 9:4 | 9 |
| ტტ-სი (თბ.) | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 8 |
| „სპარტაკი“ (თელ.) | 5 | 3 | 0 | 2 | 29:15 | 6 |
| „დინამო“ (სოხ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 13:6 | 5 |
| სკიფი (თბილისი) | 5 | 1 | 3 | 1 | 3:2 | 5 |
| „დინამო“ (ქუთ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 11:10 | 4 |
| „სპარტაკი“ (სტ). | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | 3 |
| „განთიადი“ (გორი) | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 3 |
| ახ. ფეხ. სკ. (თბ.) | 5 | 1 | 0 | 4 | 6:8 | 2 |
| „კოლმ.“ (ქობ.) | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | 1 |

* * *

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპ.“ (ქუთ.) | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 9 |
| „მადარ.“ (ჭიათ.) | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | 7 |
| „დინამო“ (ბათ.) | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 6 |
| „კოლ“. (მახ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 2:2 | 5 |
| „სხივი“ (რუსთ.) | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 5 |
| 26 კომ. სახ. რ-ნი (თბ.) | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 5 |
| „კოლმ.“ (ლანჩხ.) | 5 | 2 | 0 | 3 | 5:5 | 4 |
| „ლოკ.“ (სამტ.) | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 4 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |
| ქ. ფოთი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |

## სურამელები კვლავ ითამაშებენ

ამ მცირე ხნის წინათ გაზეთ „ლელოში“ დაიბეჭდა ა. დავითიანის წერილი „ასე თამაშობდნენ სურამელები“. დიახ, წერილში მოთხრობილი ამბები სრული სიმართლეა. სურამში 1911 და მომდევნო წლებში ფეხბურთი დიდი სიყვარულით სარგებლობდა ახალგაზრდებს შორის და სურამელები იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერად თამაშობდნენ კიდეც.

მე, მაშინდელი გუნდის მეკარე, ძლიერ ამაღელვა წარსული წლების კიდევ ერთხელ მოგონებამ და თან კიდევ ერთხელ დამაღონა იმ გარემოებამ, რომ სურამში აღარ არის თუნდაც ისეთი გუნდი, რომ რესპუბლიკის პირველობაზე მესამე ჯგუფში მაინც გამოვიდეს. სავსებით სამართლიანად წერს ა. დავითიანი, რომ მივიწყებული მდიდარი ტრადიციები სურამელებმა საჭიროა განაახლონ.

რაშია საქმე? როგორ დავიჯერო, რომ სურამის ახალგაზრდობაში ასე ჩაქრა ფეხბურთის სიყვარული. თუ ჩვენ ამხანაგური თამაშის ჩასატარებლად დილის 5 საათზე ფეხით მივეშურებოდით ბორჯომში, ახლა რა უშლის სურამელებს უფრო თანამედროვე ტრანსპორტით იმგზავრონ ამავე მიზნით?

ეტყობა, ხაშურის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი ნაკლებადაა დაინტერესებული დაბა სურამში ფეხბურთის გუნდის ჩამოყალიბებით, მისთვის სათანადო პირობების შექმნით.

დადგა გაზაფხულის დღეები. სურამში ახლავე უნდა შეიქმნას ფეხბურთის კოლექტივი, რომელიც შეუდგება წვრთნას, ვარჯიშს, ამხანაგური შეხვედრების ჩატარებას. ხაშურის რაიონის ფეხბურთის სექციაში საჭიროა შეყვანილ იქნას ძველი ფეხბურთელი ხორენ არუწოვი, რომელიც იზრუნებს სურამის ფეხბურთელთა გუნდზე.

ჩვენს გუნდს ერქვა „ამირანი“ ერქვა. კარგი იქნება თუ სურამის მომავალ გუნდსაც „ამირანი“ დაერქმევა ძველი ტრადიციების აღსადგენად.

სრული იმედი მაქვს სურამელები კვლავ კარგად ითამაშებენ ფეხბურთს.

**გ. ჩხიკვაძე,**
**საქართველოს ფეხბურთის სექციის პრეზიდიუმის წევრი.**



## ნაკრებმა დაიწყო თამაში

სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ფეხბურთში შეუდგა მზადებას მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩებისათვის.

7 მაისს ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდის შეხვედრა ახალგაზრდულ საკავშირო ნაკრებთან.

პირველი ნაკრები თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: იაშინი („დინამო“, მოსკოვი); ოგონკოვი („სპარტაკი“ მოსკოვი), კრიჟევსკი, კუზნეცოვი („დინამო“, მოსკოვი); ვოინოვი („დინამო“, კიევი), ნეტო („სპარტაკი“, მოსკოვი); მეტრეველი („ტორპედო“, მოსკოვი), ბუბუკინი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), სტრელცოვი, ფალინი („ტორპედო“, მოსკოვი), ილინი („სპარტაკი“, მოსკოვი). ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდნენ ცსკ მო-ს, კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები.

თამაში დაიწყო ახალგაზრდათა სწრაფი შეტევებით და იაშინს მოუხდა რამდენიმე ძნელი ბურთის აღება. შემდგომში ინიციატივა გადავიდა ნაკრების მხარეს და ფალინმა სტრელცოვის მოწოდებიდან გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ ბუბუკინმა და მეტრეველმა ზედიზედ გაიტანეს ორი გოლი — 3:0. მატჩის დასასრულს კანევსკიმ შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა, რასაც გონგის შემდეგ მოჰყვა ილინის მიერ გატანილი მეოთხე გოლი.

ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-31, მორიგისა და გამომშვებისა — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02457